28/02/2024

პატრიარქ კირილეს მისალმება საერთაშორისო რუსოფილური მოძრაობის მეორე კონგრესის მონაწილეებს

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ საერთაშორისო რუსოფილური მოძრაობის მეორე კონგრესის მონაწილეებს მისალმება გაუგზავნა.

საერთაშორისო რუსოფილური მოძრაობის მეორე კონგრესის ორგანიზატორებს, მონაწილეებსა და სტუმრებს

ძვირფასო ძმებო და დებო!

გულითადად მივესალმები ყველას, ვინც შეიკრიბა საერთაშორისო რუსოფილური მოძრაობის მეორე კონგრესზე. სასიხარულოა, რომ სხვადასხვა ქვეყნიდან მოსკოვში კვლავ ჩამოვიდნენ ადამიანები, რომლებსაც გულწრფელად უყვართ რუსული ტრადიციები, კულტურა და ენა.

ჩვენი საზოგადოების ცხოვრების სულიერ საფუძველს საუკუნეების მანძილზე აყალიბებდა მართლმადიდებელი ეკლესია, ავითარებდა ხალხში საუკეთესო ზნეობრივ

თვისებებს: მსხვერპლგამღებლობასა და თავგანწირვას; გულისხმიერებასა და გულმოწყალებას; ღვთის, მოყვასისა და სამშობლოს სიყვარულს. ეკლესია ყოველთვის მხარს უჭერდა ურთიერთპატივისცემის და მეგობრული დიალოგის განვითარებას სხვადასხვა რელიგიისა და კულტურის წარმომადგენლებთან.

დღეს, როდესაც იშლება საზღვრები სათნოებასა და ბიწიერებას, სიმართლესა და ტყუილს შორის, მსოფლიო ეჯახება გლობალურ გამოწვევებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის პიროვნების ღირსებასა და ოჯახის ინსტიტუტს. ყოველივე ეს ჩვენ აღგვძრავს იმად, რომ აღგვდგეთ ტრადიციული ფასეულობების დასაცავად, ერთად დავიცვათ ადამიანების უფლება, იცხოვრონ ზნეობრივი კანონებით და შეინარჩუნონ საკუთარი იდენტობა.

გისურვებთ ყველას ნაყოფიერ შრომას და ღვთის კურთხეულ შეწევნას.

+ კირილე,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

mospat.ru